GENERAL OF THE RUSSIAN EMPIRE ARMY - HIS EXCELLENCY ABESALOM MGHEBRISHVILI AND THE STATE'S SOCIAL SECURITY POLICY IN THE LINEAGE OF THE KNIGHTS OF THE ORDER OF ST. GEORGE AND MEMBERS OF THEIR REGIMENT

რუსეთის იმპერიის არმიის გენერალი - მისი აღმატებულება აბესალომ მღებრიშვილი და სახელმწიფოს სოციალური დაცვის პოლიტიკა წმინდა გიორგის ორდენის კავალერთა და მათი ოჯახის წევრების ხაზით

ALEKSANDRE MGEBRISHVILI
Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

Abstract. Russian-Georgian relations have always been important and complex. These relations span many centuries. Russian interest in Georgian territories, along with a series of gradual attempts to assert influence, eventually became a recurring feature of regional politics. Until the second half of the 18th century, Russian domination over Georgia was largely nominal; however, the situation became more formalized after the 1783 treaty, and with the 1801 manifesto, Kartli-Kakheti was incorporated into the empire as an administrative unit, forming the Georgian Governorate in Eastern Georgia.

The legitimacy of the country's authorities in establishing a Russian protectorate over Georgia, when considered in the historical context of the time, remains a debated issue in modern historiography. This matter has been examined by earlier scholars. Zurab Avalishvili notes that such a course of action was understandable "when there is a desire to maintain even partial independence, but no means to achieve it independently. The vassal status that Georgia was forced to assume under hostile Eastern neighbors was the form in which, guided by its own interests, Georgia would willingly have associated itself with a co-religionist and friendly state such as Russia."

Key words: Absalom Mghebrishvili, General of the Russian Empire, Social Security Policy, Order of St. George, Imperial Policy, St. Petersburg (Petrograd), Russification Tendency of Georgian Names.

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

აბსტრაქტი. რუსეთ - საქართველოს ურთიერთობები ყოველთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო გახლდათ. ეს ურთიერთობები არაერთ საუკუნეს ითვლის. საქართველოს ტერიტორიებით დაინტერესება და მათი ეტაპობრივად მიტაცების მცდელობების არაერთი ფაქტი თანდათანობით ბუნებრივ მოვლენად გადაიქცა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, საქართველოზე რუსეთის ბატონობა თუ ნომინალურ ხასიათს ატარებდა, მდგომარეობა უფრო ხისტი გახდა 1783 წლის ხელშეკრულების[1] შემდეგ, ხოლო 1801 წლის მანიფესტით ქართლ - კახეთი იმპერიის შემადგენლობაში შედის და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული - საქართველოს გუბერნია.

ქვეყნის ხელისუფალთა მხრიდან, საქართველოზე რუსეთის პროტექტორატის შექმნის მართებულობა, ამჟამინდელი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, დღემდე სადავო საკითხად რჩება თამანედროვე ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხზე მსჯელობდნენ ადრეც. ზურაბ ავალიშვილი მიუთითებს, რომ ასეთი მოქმედება ბუნებრივია „მაშინ, როცა არსებობს სურვილი დამოუკიდებლობის თუნდაც ნაწილობრივ შენარჩუნებისა, მაგრამ არ არის საშუალება საკუთარი ძალებით ამის მიღწევისა. ვასალური დამოკიდებულება, რასაც იძულებით თავს ახვევდნენ საქართველოს მისდამი მტრულად განწყობილი აღმოსავლეთის ქვეყნები, ეს ის ფორმაა, რომლითაც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო სიხარულით დაუკავშირდებოდა ისეთ ერთმორწმუნე და მეგობრულ სახელმწიფოს, როგორიც იყო რუსეთი“ (Авалов, 1906: 51).

საკვანძო სიტყვები: აბესალომ მღებრიშვილი, რუსეთის იმპერიის გენერალი, სოციალური დაცვის პოლიტიკა, წმინდა გიორგის ორდენი, იმპერიული პოლიტიკა, პეტერბურგი (პეტროგრადი), ქართულ გვართა რუსიფიცირების ტენდენცია.

შესავალი. რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ისტორია ერთ-ერთი ყველაზე რთული, დინამიკური და წინააღმდეგობრივი ფენომენია, რომელიც დღემდე იპყრობს მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კავკასიის რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურმა პროცესებმა თვისებრივად შეცვალა ქართული სახელმწიფოების ბედი. თუკი ამ პერიოდამდე რუსეთის გავლენა ქართულ სამეფოებზე მეტწილად ნომინალურ ან ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, 1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატის შემდგომ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. 1801 წლის საიმპერატორო მანიფესტმა კი წერტილი დაუსვა ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობას, რის შედეგადაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ადმინისტრაციული ერთეული — საქართველოს გუბერნია ჩამოყალიბდა. ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და რუსული პროტექტორატის დამყარების ისტორიული მართებულობის საკითხი დღემდე მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენს

[1] **გეორგიევსკის ტრაქტატი** -1783 წლის 24 ივლისს (4 აგვისტო) ციხესიმაგრე გეორგიევსკში (ჩრდ. კავკასია) დადებული „სამეგობრო შეთანხმება“ რუსეთსა და გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი რუსეთის მფარველობის ქვეშ გადავიდა.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. ცნობილი მკვლევარი ზურაბ ავალიშვილი აღნიშნავდა, რომ მსგავსი პოლიტიკური ნაბიჯი გარკვეულწილად ბუნებრივი მოვლენა იყო იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას სურდა დამოუკიდებლობის თუნდაც ნაწილობრივი შენარჩუნება, მაგრამ ამის საკუთარი ძალებით მიღწევის რესურსი ფაქტობრივად არ გააჩნდა. მტრულად განწყობილი აღმოსავლური იმპერიების პირისპირ მარტო დარჩენილი ქვეყნისთვის ერთმორწმუნე სახელმწიფოსთან დაკავშირება გადარჩენის იძულებით ფორმად იქცა.

ამ რთული ისტორიული რეალობის პარალელურად, ცარისტულმა ხელისუფლებამ ახალშემოერთებულ ტერიტორიებზე საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისა და შენარჩუნებისთვის მძლავრი სამხედრო-ადმინისტრაციული მანქანის ამუშავება დაიწყო. პეტრე პირველის მიერ დაწყებულმა სამხედრო რეფორმებმა, შეიარაღებული ძალების სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ და 1722 წელს შემოღებულმა „რანგთა ტაბელმა“ საფუძველი ჩაუყარა პროფესიული სამხედრო ელიტის ფორმირებას. იმპერიის სამხედრო მშენებლობის სწრაფმა ტემპებმა და მრავალრიცხოვანმა ომებმა წარმოშვა კვალიფიციური კადრების უზარმაზარი მოთხოვნა, რომლის შევსებაც სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის საქართველოდანაც ხდებოდა.

საუკუნეების განმავლობაში უამრავმა ქართველმა სამხედრო მოღვაწემ დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთის იმპერიის არმიას. მათმა ნაწილმა ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცის, პროფესიონალიზმისა და განსაკუთრებული ნიჭის წყალობით უმაღლეს კარიერულ მწვერვალებს მიაღწია. „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“ და სხვადასხვა ბიოგრაფიული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ორასი წლის მანძილზე (1700-1918 წწ.) იმპერიის არმიაში რამდენიმე ასეულმა ქართველმა გენერალმა დატოვა წარუშლელი კვალი. ამ თვალსაჩინო სამხედრო ელიტაში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და გამორჩეული ადგილი უკავია გენერალ-ლეიტენანტ აბესალომ მღებრიშვილს (წყაროებში ხშირად მოხსენიებულს როგორც მგებროვი).

წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს გენერალ აბესალომ მღებრიშვილის ცხოვრების, მისი ბრწყინვალე სამხედრო-საინჟინრო კარიერისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის კომპლექსური შესწავლა. ნაშრომში განხილულია მისი პროფესიული აღმავლობის ეტაპები — ნიკოლაევსკის საინჟინრო სასწავლებლისა და სანკტ-პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დასრულებიდან უმაღლესი სამხედრო ჩინების მოპოვებამდე. მღებრიშვილმა, როგორც ეროვნებით არარუსმა ოფიცერმა, უდიდესი შრომისა და ნიჭის ფასად მიაღწია „რანგთა ტაბელის“ მესამე კლასს, რაც იმპერიის მასშტაბით უიშვიათეს წარმატებად ითვლებოდა.

კვლევის უმნიშვნელოვანეს ასპექტს შეადგენს აბესალომ მღებრიშვილის მოღვაწეობის გაანალიზება სახელმწიფოს სოციალური დაცვის პოლიტიკის კონტექსტში, კერძოდ, წმინდა გიორგის ორდენის კავალერთა და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერის ხაზით. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მღებრიშვილი ხელმძღვანელობდა გეორგიევსკის კომიტეტის საგანგებო სათათბიროს, რომელიც ომში დაღუპული თუ დაჭრილი გმირების შვილებისა და ობლების განათლებაზე, სტიპენდირებასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ზრუნავდა. სტატიაში, შედარებით-ისტორიული მეთოდისა და საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, დეტალურად არის შესწავლილი იმპერიის ჯილდოებისა და ორდენების იერარქიული სისტემა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პირის სოციალური სტატუსის ცვლილებასთან, პირადი თუ მემკვიდრეობითი თავადაზნაურობის მოპოვებასთან.

ამრიგად, ნაშრომი წარმოაჩენს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ქართველი გენერლის ბიოგრაფიულ დეტალებსა და მის მაღალ ავტორიტეტს საიმპერატორო კარზე, არამედ ფართო ჭრილში აანალიზებს იმ სოციალურ-პოლიტიკურ მექანიზმებს, რომელთა

საშუალებითაც რუსეთის იმპერია ახორციელებდა სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების მატერიალურ და სამართლებრივ დაცვას. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ ქართველი სამხედრო ინტელიგენციის როლი და ადგილი მეფის რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში.

კვლევის მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები, მსჯელობა და დასკვნები. XVIII საუკუნის დამდეგიდან თანდათანობით ღრმავდება რუსეთის იმპერიული ინტერესები. ვგულისხმობთ ერთის მხრივ ქვეყნის ტერიტორიული გაფორმების ფაქტებს, და მეორეს მხრივ, შემოერთებულ ტერიტორიებზე საკუთარი გავლენის გავრცელებას და შენარჩუნებას.

ქვეყნის იმპერიული პოლიტიკა მძლავრ სამხედრო მანქანას მოითხოვდა. ძირეული რეორგანიზაცია სამხედრო სფეროში და ძლიერი რეგულარული არმიის შექმნა პეტრე პირველის[2] სახელთან არის დაკავშირებული. XVIII საუკუნე ამ თვალსაზრისით გარდამავალ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს.

1716 წელს შემუშავებული ახალი წესდების თანახმად, შეიარაღებული ძალები შედგებოდა საველე არმიის, ადგილობრივი ჯარების და რეგულარული ჯარებისგან.

1712 წლიდან შეიქმნა საარტილერიო და საინჟინრო სკოლები.

1722 წლიდან დადგინდა სამხედრო ჩინების იერარქია.

შეიქმნა საველე შტაბი. ეგერთა მსუბუქი ქვეითი ჯარი. კავალერიაში არსებულ დრაგუნთა შენაერთებს დაემატა კირასირთა და ჰუსართა პოლკები.

შეიქმნა გენერალური შტაბები.

1802 წელს ჩამოყალიბდა სამხედრო სამინისტრო და ა. შ.

ზემო აღნიშნულმა ქმედებებმა ნაყოფი მალე გამოიღო. 1812 წელს რუსეთ-საფრანგეთის ომის დროს მაღალი საბრძოლო თვისებების გამოვლენად უნდა ჩაითვალოს ნაპოლეონის ძლევამოსილი არმიის დამარცხება.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში არმია შედგებოდა სახაზინო, ადგილობრივი და დამხმარე ჯარისაგან.

1832 წელს დაარსდა სამხედრო აკადემია.

1855 წელს დაარსდა საარტილერიო და საინჟინრო აკადემია.

1867 წელს სამხედრო-იურიდიული აკადემია.

1874 წელს შემოღებულ იქნა საყოველთაო სამხედრო ვალდებულება და სხვ.

იმპერიის შეიარაღებული ძალების ასეთი ტემპებით მშენებლობა, ცხადია, თხოულობდა პროფესიონალ სამხედრო კადრს დიდი რაოდენობით. არმიის რიგები შევსებას იღებდა იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისაგან. ბუნებრივია, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა. სხვადასხვა დროს უამრავი ქართველი მსახურობდა რუსეთის იმპერიის არმიის რიგებში. იყვნენ ისეთებიც, ვინც სიმამაცის და პროფესიონალიზმის მაგალითებს ავლენდა ბრძოლის ველზე.

იყო კიდევ უფრო მცირე ნაწილი, რომლებიც განსაკუთრებულ კარიერულ წარმატებას აღწევდნენ და სამხედრო იერარქიული კიბის მწვერვალებს მიაღწიეს.

ამ ადამიანებმა უდიდესი სიმამაცის, ერუდიციის და თავდადების ფასად იმპერიის არმიაში უმაღლეს საფეხურებს (ჩინებს) მიაღწიეს. ,,ქართულ სამხედრო ენციკლოპედიური

[2] სრულიად რუსეთის პირველი იმპერატორი 1682-1725 წლებში.

ლექსიკონი“[3] ორი საუკუნის განმავლობაში (1700-1918) რამდენიმე ასეული ასეთი პერსონის შესახებ იუწყება. რუსეთის იმპერიის არმიის ქართველი გენერლების ჩამონათვალი შთამბეჭდავია.

აკადმიკოს ე. მეძმარიაშვილის საერთო რედაქციით გამოცემული ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი მომზადდა 2017 წელს. იმპერიის არმიის გენერალიტეტის ქართულ შემადგენლობათა შესახებ რამდენიმე წლით ადრე წერდა ლ. დოლიძე. (დოლიძე, 2003: 21) ამავე საკითხს უტრიალებს მ. გოგიტიძის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული საძიებელიც (Гогитидзе, 2001).

ყველა ზემოთ დასახელებული შრომა მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერიაში მომსახურე ქართველ გენერალთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია აბესალომ მღებრიშვილს, რომელიც გენერალ-მაიორის ჩინს ატარებს 1903 წლიდან, ხოლო 1914 წლიდან გენერალ-ლეიტენანტია.

გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება შემოღებულ იქნა პეტრე პირველის მიერ. ამავე პერიოდს უკავშირდება რუსეთის იმპერიის ტაბელი რანგთა შესახებ. (Пётр I, 1830: 486-493) აღნიშნული დოკუმენტი არსებობდა რუსეთის იმპერიის ბოლო დღემდე, თუმცა, ტექსტის შინაარსმა სხვადასხვა დროს განიცადა არაერთი ცვლილება. მაინც, ძირითადი აზრი რანგთა ტაბელისა უცვლელი გახლდათ და ის გულისხმობდა 14 კლასს. წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია რუსეთის იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობების, წოდებების, ჩინების მიღებების ან სამსახურში დაწინაურების პირობები. იერარქიულ საფეხურზე აღმასვლა დეკლარირებული გახლდათ არა მარტო წარმომავლობის, არამედ ნიჭის, უნარების, განათლების და დამსახურებების გათვალისწინებით.

ხსენებულ ჩინთა სისტემაში გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება განეკუთვნება მესამე კლასს, ხოლო სამოქალაქო ჩინებიდან მას უთანაბრდება საიდუმლო მრჩევლის სამოქალაქო წოდება.

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა კლასის ჩინოვნიკების მისამართით გამოიყენებოდა მიმართვის სხვადასხვა ფორმა. კერძოდ:

- I და II კლასის მოხელეებისადმი მიმართვის ფორმა გახლდათ - **„თქვენო მაღალაღმატებულებავ“.**
- III – IV კლასის მოხელეებისადმი - **„თქვენო აღმატებულებავ“.**
- V კლასისი მოხელეებისადმი - **„თქვენო ღირსებავ“.**
- VI - VIII კლასის მოხელეებისადმი **„თქვენო მაღალკეთილშობილებავ“.**
- IX - XIV კლასის მოხელეებისადმი **„თქვენო კეთილშობილებავ“.**

იმპერიის ,,რანგთა ტაბელით“ გათვალისწინებულ მესამე კლასში მოხვედრა უდიდესი შრომის შედეგი და უდიდესი წარმატება გახლდათ. მით უფრო არა რუსი, ეროვნებით ქართველი სამხედრო პირისთვის. გენერალ-ლეიტენანტი აბესალომ მღებრიშვილი სწორედ ის ადამიანი გახლდათ ვინც ამ წარმატებას მიაღწია.

აბესალომ მღებრიშვილი დაიბადა თბილისში 1845 წლის 20 დეკემბერს.

დაამთავრა ნიკოლაევსკის საინჟინრო სასწავლებელი.[4] ეს გახლდათ სასწავლებელი, რომელმაც აღნიშნული სახელწოდება მიიღო 1855 წლიდან და ამზადებდა უმცროს

[3] რუსეთის იმპერიის ქართველი გენერლების შესახებ ინფორმაცია აღებულია ნაშრომიდან - ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის საერთო რედაქციით), თბილისი, 2017, გვ. 631.

[4] Николаевское инжинерное училище. В 1866-1880 гг. Училище подготовило 791 офицера, в 1881-1895 гг. – 847, в 1896-1900 гг. – 540, а всего за вторую половину XIX в. – 2338. В 1901-1914 гг. Было выпушено 1360 офицеров, Следовательно, за весь период своего существования училище дало примерно 4,4 тыс. Офицеров (Николаевское инжинерное училище, б.д. а)

ოფიცრებს საინჟინრო საჯარო შემადგენლობებისთვის. სამწლიანი კურსის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა აბესალომს მიენიჭა ჯერ ინჟინერ-პრაპორშიკის წოდება საერთო საშუალო და სამხედრო განათლებით, ხოლო სასწავლებლის დასრულების მომენტში, 1868 წელს, პოდპორუჩიკის ჩინი. (Николаевское инженерное училище, б.д. б)

ცხადია, განათლების ეს საფეხური არ დააკმაყოფილებდა ნიჭიერ ახალგაზრდას და მაშინვე სწავლის გასაგრძელებლად მიაშურა სანკტ-პეტერბურგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი დაარსებული იყო 1828 წლიდან, მან მალევე, 1862 წლიდან შეიძინა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტატუსი და ერთ-ერთ პრესტიჟულ განათლების კერად მიიჩნეოდა ტექნოლოგიურ სფეროში. სწორედ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა წყალობით განვითარდა რუსეთის იმპერიაში ელექტრო მრეწველობა, ლოკომოტივების მშენებლობა, ტექსტილის მრეწველობა და სხვა მნიშვნელოვანი დარგები. (Санкт-Петербургский государственный технологический институт)

ა. მღებრიშვილის (XIX საუკუნეში გავრცელებული ქართული გვარების რუსიფიცირების ტენდენციის გათვალისწინებით, მაგ. ციციანოვი, მაჩაბელოვი, ორბელიანოვი და მრ. სხვ. აბესალომ მღებრიშვილი წყაროთა ნაწილში მოხსენიებულია გვარებით - Мгебров, Мгебриев) სამხედრო გზა იწყება 1866 წლიდან, ხოლო 1868 წელს ის უკვე პოდპორუჩიკის, ხოლო 1871 წელს პორუჩიკის ჩინს ატარებს. ნიკოლაევის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ირიცხება კავკასიის პირველ ბატალიონში.

სწორედ ამ დროს იწყება რუსეთ-თურქეთის ომი[5] და აბესალომი პორუჩიკის ჩინით საბრძოლო მოქმედებების წინა ხაზიდან უჩვენებს სიმამცისა და თავდადების მაგალითებს.

1877 წლის 12 აპრილს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ხელმოწერილი მანიფესტით დაწყებული საომარი კამპანია თავიდანვე ორ ხაზად გაიყო. ორივე-ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე რუსეთის იმპერიის არმიამ წარმატებებს მიაღწია და ოსმალეთის სულთანი იძულებული გახდა 1878 წლის 19 იანვარს დროებით ზავს დათანხმებოდა.

იმავე 1878 წელს აბესალმ მღებრიშვილს მიენიჭა შტაბს-კაპიტნის, ხოლო 1885 წლიდან კაპიტნის სამხედრო წოდება. მისი ამ პერიოდის მოღვაწეობის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის მ. გოგიტიძე ნაშრომში „Под сенью Российского орла“:

„В 1890-1892 гг. Состоял я в должности помошника делопроизводителя старшего оклада особого временного учереждённого при Главном штабе делопроизводства по эксплуатации Закаспийской военной железной дороги, а в 1892-1903 гг. – делопроизводителя указанного делопроизводства.

6 декабря 1895 года произведен в полковники, а 6 декабря 1903 года – в генерал-майоры.

В 1903-1914 гг. Служил начальником отделения отдела военных сообшений Главного управления Генерального штаба.

В 1914 году назначен генералом для поручений при Главном военно-техническом управлении, а 6 апреля 1914 года произведен в генерал-лейтенанты.“ (Гогитидзе, 2020: 260)

უფრო კონკრეტულად შევეხებით ამ საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში სამხედრო სამსახურის იერარქიულ კიბეზე უმაღლეს საფეხურებამდე მისღწევად აბესალომმა განვლო ყველა შესაბამისად საჭირო საფეხური. მაგალითად:

- 1868 წლის 13 ოქტომბრიდან მიენიჭა პოდპორუჩიკის სამხედრო წოდება.
- 1871 წლის 24 ივლისიდან ხდება პორუჩიკი.

[5] **რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877-78 წლებში** - რუსეთის იმპერიის მიერ წამოწყებული სამხედრო კამპანია ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელად და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოსაპოვებლად. ომს წინ უძღოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. 1877 წლის 12 აპრილს კიშინიოვში მყოფმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის შესახებ.

- 1878 წლის 2 სექტემბრიდან - შტაბს-კაპიტანი.
- 1885 წლის 27 ივლისიდან - კაპიტანი.
- 1890 წლის 30 აგვისტოდან - პოდპოლკოვნიკი.
- 1895 წლის 6 დეკემბრიდან - პოლკოვნიკი.
- 1903 წლის 6 დეკემბრიდან - გენერალ-მაიორი.
- 1914 წლის 6 აპრილიდან - გენერალ-ლეიტენანტი.

წლების განმავლობაში სამხედრო სამსახურში მინიჭებული წოდების შესაბამისად მოღვაწეობს შემდეგ სამხედრო პოზიციებზე:

- 1887-1890 – Исполняющий обязанности старшего помошника делопроизводителя в отделении по передвижению войск и грузов по Закаспийскому делопроизводству.
- 1890-1892 – Исполняющий обязанности помошника делопроизводителя старшего оклада особого временного учереждения при главном штабе делопроизводства по эксплуатации Закаспийскими ж/д.
- 1892 – Делопроизводител особого учереждения при главном штабе делопроизводства по эксплуатации Закаспийскими военными ж/д.
- 1903-1914 – Начальник отделения отдела военных сообшений Главного управления генерального штаба.
- С 1914 – Генерал для поручений при главном военно-техническом управлении Генштаба. (Walkeru, 2010)

აბელ მღებრიშვილის ბრწყინვალე სამხედრო კარიერის შესახებ იუწყებიან სხვა უცხოური წყაროებიც.

ნაშრომში „Высшие чины Российской империи“ ხაზგასმულია: „Мгебров (Авессалом-Авель) Авессалом Иванович (20.12.1845) – генерал-майор (6.12.1903), начальник отделения отдела военных сообшений главного управления штаба (5.08.1903-20.02ю1914), генерал для поручений при главном военно-техническом управлении генштаба с 20.02.1914 года, генерал-лейтенант (6.04.1914)“ (Высшие чины Российской империи, 2017: 357).

ა. მღებრიშვილის ძირითად ბიოგრაფიულ დეტალებს ადასტურებენ სხვებიც. (Русская императорская армия, ნ.დ.; Отец и сыновья Мгебровы, 2014; Mematiane.ge, თ.გ.) მის კარიერულ ზენიტში ყოფნის პერიოდს დაემთხვა პირველი მსოფლიო ომი.[6] ომის წლები ტრაგიკულიც გახლდათ იმპერიის გენერლისთვის. ვგულისხმობთ ვაჟის, ვლადიმერის (ასევე იმპერიის არმიის ოფიცრის) ტრაგიკულად დაღუპვის ფაქტს, რამაც გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა აბესალომის ჯანმრთელობას და გაუნელებელ ტკივილთან ერთად დაუტოვა ფრონტის მეორე ხაზზე მდგარი მოწინააღმდეგის მიმართ დაუოკებელი შურისძიების გრძნობა. ამ განცდით და გაორმაგებული საბრძოლო ჟინით გენერალ-ლეიტენანტი აბესალომ მღებრიშვილი საიმპერატორო კარის ყურადღებას დაიმსახურებს. მის მრავალრიცხოვან ჯილდოთა ჩამონათვალს შეემატა კიდევ ერთი: „Высояайшее благоволение: (ВП 06.12.1916; за отлично-усердную службу и особые труды, вызванные обстоятельствоми текущей войны).“[7]

---

[6] **პირველი მსოფლიო ომი** - მეორე მსოფლიო ომამდე ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც დაახლოებით 8.5 მილიონი მებრძოლის და 13 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. მოკავშირეთა ძალებმა ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთისა და მოგვიანებით, იტალიისა და აშშ-ის მეთაურობით დაამარცხეს გერმანიის იმპერია, ავსტრია-უნგრეთი და ოსმალეთის იმპერია. შეტაკებები განხორციელდა ზღვაზე, წყალქვეშ და ჰაერშიც. ომს შედეგად ოთხი იმპერიის დაშლა მოჰყვა: ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთისა და რუსეთის.

[7] http://www.grawar.ru/persons/persons.html?id=4144

ხანგრძლივი სამხედრო მოღვაწეობის მანძილზე რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების იერარქიულ კიბეზე თითქმის ყველა საფეხურის გავლის, წლების მანძილზე, წარმატებული აღმასვლის პერიოდში გენერალ-ლეიტენანტი აბესალომ მღებრიშვილი დაჯილდოებული იყო იმპერიის არაერთი საპატიო ჯილდოთი.

ცხადია, რუსეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებში არსებობდა სამხედრო ჯილდოების მწყობრი სისტემა, ორდენების იერარქია და მათი ტარების წესი (Правила ношения орденов, 1889: №6445)

1855 წლიდან კიდევ უფრო დაიხვეწა სახელმწიფო ჯილდოების იერარქიული თანმიმდევრობა (Шепелёв, ნ.დ.) და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით (უმცროსი რანგის ორდენებიდან უფროსი რანგის ორდენების მიმართულებით ქვემოდან - ზემოთ):

- წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენი (ბრილიანტებით და მის გარეშე)
- წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენი
- წმინდა ვლადიმირის I ხარისხის ორდენი
- წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი (ბრილიანტებით და მის გარეშე)
- თეთრი არწივის ორდენი
- წმინდა გიორგის II ხარისხის ორდენი
- წმინდა ვლადიმირის II ხარისხის ორდენი
- წმინდა ანას I ხარისხის ორდენი, (გვირგვინის ქვეშ ბრილიანტებით და მის გარეშე)
- წმინდა სტანისლავის I ხარისხის ორდენი
- წმინდა გიორგის III ხარისხის ორდენი
- წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ორდენი
- წმინდა ანას II ხარისხის ორდენი
- წმინდა სტანისლავის II ხარისხის ორდენი
- წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენი
- წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი
- წმინდა ანას III ხარისხის ორდენი
- წმინდა სტანისლავის III ხარისხის ორდენი

ზემოთ დასახელებული ჯილდოებიდან აბესალომ მღებრიშვილი დაჯილდოებული იყო შემდეგი ორდენებით[8]:

- წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1880 წელს)
- წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1883 წელს)
- წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1884 წელს)
- წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1896 წელს)
- წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1898 წელს)
- წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1900 წელს)
- წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1906 წელს)[9]

---

[8] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ.: (Mematiane.ge; Офицеры русской императорской армии, ნ.დ.) და სხვ.

[9] **წმინდა სტანისლავის ორდენი** - დაარსდა 1765 წელს. 1831 წელს გახდა რუსული. დამფუძნებელი სტანისლავ პონიატოვსკი. ნიკოლოზ I შემოიტანა რუსეთის ჯილდოების სისტემაში. სტატუსი ყველაზე დაბალია სტატუსთა შორის. საჯარო სამსახურისა და სოციალურად სასარგებლო საქმიანობისთვის დასაჯილდოებლად. დევიზი - „დაჯილდოება, წახალისება“. ხარისხების რაოდენობაა 3 (1839 წლამდე - 4). ორდენის სამკერდე ნიშნები: ოქროს ჯვარი განტოტილი ბოლოებით, დაფარული წითელი მინანქრით. ვერცხლისფერი რვაქიმიანი ვარსკვლავი, წითელი

- წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1914 წელს)[10]
- წმ. ვლადიმირის მე-2 ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1915 წელს)[11]
- თეთრი არწივის ორდენი (მიენიჭა 1916 წელს)[12]

სახელმწიფო ჯილდოების გარდა, მიღებული ჰქონდა:

- ბუხარის ოქროს ვარსკვლავის მეორე ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1895 წელს)
- ბუხარის ოქროს ვარსკვლავის პირველი ხარისხის ორდენი (მიენიჭა 1900 წელს)[13]

ლენტი ორმაგი თეთრი საზღვრით. შესაბამისობა წოდებების ცხრილთან: 1. I-VI; 2. VII-X; 3. XI-XII. წმინდა სტანისლავის ორდენის კავალერებს ენიშნებოდათ პენსიები: 1-ლი ხარისხის კავალერებს - 143 მანეთი, მე-2 ხარისხის კავალერებს - 115 მანეთი, მე-3 ხარისხის კავალერებს - 86 რუბლი.

[10] **წმინდა ანას ორდენი** - დაწესებულია ჯილდოდ საჯარო სამსახურის სფეროში მოღვაწეობისთვის. დაარსების თარიღი: 1735 წლის 14 თებერვალი. შეყვანილია რუსეთის ჯილდოების სისტემაში 1797 წელს. დამფუძნებელი: ჰერცოგი კარლ ფრიდრიხი ჰოლშტეინ-გოტორპიდან. პავლე I შეიტანა რუსული ჯილდოების სისტემაში. დევიზი - „მათ, ვისაც უყვარს სიმართლე, ღვთისმოსაობა და ერთგულება“. ხარისხების რაოდენობაა 4. ბრძანების ნიშნები: წითელი მინანქრით დაფარული ოქროს ჯვარი, ბოლოებს შორის არის ოქროს დეკორაცია, ვერცხლის რვაქიმიანი ვარსკვლავი, ლენტი ყვითელი საზღვრით. წოდებების ცხრილთან შესაბამისობა: ხარისხები კლასების ცხრილის მიხედვით 1. I-IV; 2. V-VIII; 3. VIII-X; 4. X-XII. I ხარისხი - 350 ან 200 რუბლი წლიური პენსია; II ხარისხი -150 ან 120 რუბლი წლიური პენსია; III ხარისხი - 100 ან 90 რუბლი წლიური პენსია; IV ხარისხი - 50 ან 40 რუბლი წლიური პენსია.

[11] **მოციქულთა სწორ წმინდა ვლადიმირის ორდენი** - დაწესებულია საჯარო სამსახურის სფეროში შესრულებული ღვაწლისთვის და საზოგადოების სასარგებლოდ შესრულებული შრომისთვის დასაჯილდოებლად. დაყოფილია ოთხ ხარისხად, რომელთაგან პირველ ორს დიდი ჯვრის ხარისხს უწოდებენ. წმინდა ვლადიმირის ორდენის კავალერებს ენიშნებათ პენსია: 1-ლი ხარისხის კავალერები - 600 მანეთი; მე -2 ხარისხის - 300 მანეთი; მე -3 ხარისხის - 150 მანეთი; მე-4 ხარისხის - 100 მანეთი. დაარსების თარიღი: 22 სექტემბერი (3 ოქტომბერი), 1782. დამფუძნებელი: ეკატერინე II. დევიზი - „სარგებელი, პატივი და დიდება“. ორდენის სამკერდე ნიშნები: ოქროს ჯვარი დაფარული წითელი მინანქრით, რვაკუთხა ვარსკვლავი მონაცვლეობით ვერცხლისა და ოქროს სხივებით, წითელი და შავი ლენტი. წოდებების ცხრილთან შესაბამისობა: 1. I-II; 2. I-III; 3. I-VI; 4. V-XI.

[12] **თეთრი არწივის ორდენი** - წესდების მიხედვით, თეთრი არწივის ორდენი წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენზე ერთი საფეხურით დაბლა იდგა. სხვა რუსული ორდენებისგან განსხვავებით, თეთრი არწივის ორდენს არ ჰქონდა პენსიის უფლება. დაარსდა 1705 წელს, დაემატა რუსეთის ორდენებს 1831 წელს. დევიზი - „რწმენისთვის, მეფისთვის და კანონისთვის“, ხარისხების რაოდენობა 1. მუქი ლურჯი ლენტი; მასზე კიდია ორდენის ნიშნები, რომელზეც გამოსახულია შავი, გვირგვინოსანი ორთავიანი არწივი, ოქროს თავებით, გადახლართული კისრით და ფრთებითა და კუდით, ოქროთი გამოკვეთილი, ხოლო მკერდზე ოქროს ვარსკვლავზე დაყრილი წითელი მინანქრის ჯვარი, გარშემო სამი ვიწრო ზოლით, რომელთაგან ორი ოქროა, ხოლო შუა ვერცხლი; ჯვრის მკვეთრ კუთხეებზე არის პატარა ოქროს ბურთები, ხოლო მათ შორის შუაში პატარა ნახევარწრიული; ჯვარზე, რომელსაც ორთავიანი არწივი ეყრდნობა, გამოსახულია თეთრი ერთთავიანი არწივი, მარჯვნივ მიმართული, თავზე პატარა ოქროს გვირგვინით. ოქროს ვარსკვლავი; ვარსკვლავის შუაში ცეცხლოვანი ჯვარი, კიდეებზე სამი ვიწრო ზოლით, რომელთაგან შუა წითელია, ხოლო დანარჩენი ორი ოქროსფერი; მის ირგვლივ, განიერ ლურჯ ზოლზე, მოთავსებულია დევიზი: „Pro Fide, Rege et Lege“ (რწმენისთვის, მეფისთვის და კანონისთვის).

[13] **კეთილშობილი ბუხარის ორდენი (Орден Благородной Бухары)** - დაარსების თარიღი 1881. ბოლო დაჯილდოება შედგა 1920 წელს. ჰქონდა 8 ხარისხი. თითოეული ხარისხის ვარსკვლავები განსხვავდებოდა ცენტრალური მედალიონის ზომით და მასში მოთავსებული ორნამენტით. ორდენის ნიშნების ფორმა (მინიმუმ პირველი ექვსი ხარისხი) ნასესხები იყო წმინდა სტანისლავის (ან წმინდა ანას) ორდენის ვარსკვლავიდან.

როგორც წესი, ორდენებით დაჯილდოება ხდებოდა რიგითობის წესით-უმცროსი ჯილდოდან-უფროსისკენ. დაუშვებელი იყო ერთი და იგივე ორდენით ორჯერ დაჯილდოების ფაქტი. სწორედ ამიტომ, ორდენები იყოფოდა უფროსობის (ხარისხების) მიხედვით, არ გააჩნდათ ორდენის ღირსების განმსაზღვრელი განსაკუთრებული ნიშნები. ოფიციალურად ეს ჯილდოები არ იყო გათანაბრებული ჩინების ტაბელში მოცემულ კლასებთან, თუმცა ზოგიერთი მათგანის სტატუსში მითითებული გახლდათ ამა თუ იმ ორდენის კავალერის ადგილი სხვადასხვა ტიპის თავყრილობების დროს ცალკეული რანგის და კლასის ჩინოვნიკთა შორის.

მაგალითად, წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი განეკუთვნებოდა მესამე კლასს. წმ. ვლადიმერის პირველი და მეორე ხარისხის ორდენის მფლობელი ასოცირდებოდა მეოთხე კლასის პერსონებთან, ხოლო ამავე ორდენის მესამე და მეოთხე ხარისხის მფლობელები - მეექვსე კლასის პერსონებთან. წმინდა გიორგის მესამე და მეოთხე ხარისხის ორდენის კავალერი ასოცირდებოდა პოლკოვნიკის სამხედრო ჩინის მქონე ოფიცრებთან (თუმც შეიძლება უფრო დაბალი სამხედრო ჩინის მატარებელი ყოფილიყო), ხოლო წმ. გიორგის პირველი და მეორე ხარისხის ორდენების კავალერი - გენერალ - მაიორის სამხედრო ჩინის მქონე სამხედრო ოფიცრებთან.

მაღალი ხარისხის ორდენები გაიცემოდა მხოლოდ პირველიდან-მესამე კლასამდე პერსონებზე. თეთრი არწივის ორდენი, წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის და წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენები არანაკლებ პირველიდან - მეოთხე კლასამდე პერსონებისთვის გახლდათ განკუთვნილი მხოლოდ და წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის და წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენები გაიცემოდა არაუმეტეს მეექვსე კლასისა.

განსაკუთრებული ჯილდო გახლდათ წმ. გიორგის ორდენი. ამ სახეობის მესამე ხარისხის ნიმუში გაიცემოდა მხოლოდ გენერლისა და პოლკოვნიკის სამხედრო ჩინებზე. მეორე ხარისხი - მხოლოდ გენერლებზე და წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენი - მხოლოდ ფელდმარშლებზე და სრულ გენერლებზე.

ორდენების მიღება სხვა არაერთ პრივილეგიასთან ერთად გულისხმობდა სოციალური საფეხურის შეცვლას. ვგულისხმობთ პირის აღზევებას თავადაზნაურთა, დიდგვაროვანთა კლასში. ეს რანგი კავალერისთვის ორგვარი გახლდათ პირადი (Личное дворянство) და მემკვიდრეობითი (Потомственное дворянство).

XIX საუკუნის შუაწლებიდან, მემკვიდრეობით, პირის თავადაზნაურთა საზოგადოების სრულფასოვან წევრობას უზრუნველყოფდა წმ. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენი. 80-იანი წლებიდან სახელმწიფოს მიდგომა ამ საკითხისადმი შეიცვალა, გამკაცრდა და ამ პრივილეგიის უზრუნველყოფა შეეძლო მხოლოდ წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენს, გენერლის ჩინს - რანგთა ტაბელით განსაზღვრულ არანაკლებ I-V კლასების ჩინოვნიკთათვის. 1900 წლიდან მემკვიდრეობითი დიდგვაროვნების უფლებით მოსარგებლე ხდებოდა წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი.[14]

როგორც ვხედავთ აბესალომ მღებრიშვილის მიერ მიღებული ჯილდოები როგორც უზარმაზარი პასუხისმგებლობის და თავდადების შედეგი გახლდათ, ასევე, საკმაოდ დიდი პრივილეგიებიც მოჰქონდა კავალერისთვის.

[14] ზემოთ ხსენებულ ორდენთა რანგობრივ კლასიფიკაციაში ჩვენ არ ვახსენეთ წმ. ეკატერინეს ორდენი, რომელიც ითვლებოდა ჯილდოდ ქალთათვის (ითვლებოდა მაღალი რანგის ორდენად), გარდა ამისა, ნაკლებად შევეხეთ წმ. გიორგის ორდენს, რომელიც განიხილებოდა ორდენთა იერარქიის მიღმა, როგორც ჯილდო სამხედრო დამსახურებისთვის. შეესაბამებოდა დაახლოებით წმ. ვლადიმირის ორდენს და ტარებისას მუნდირზე თავსდებოდა უმაღლესი ჯილდოს - წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის შემდეგ.

გარდა ძირითადი სამხედრო - საინჟინრო ვალდებულებებისა აბესალომ მღებრიშვილი ჩრთული გახლდათ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში. პირველი მსოფლიო ომის დროს წმ. გიორგის ორდენის კავალერთა მატერიალური დახმარების მიზნით შეიქმნა გეორგიევსკის კომიტეტი. კომიტეტში საგანგებო სათათბიროს თავმჯდომარეობდა გენერალ-ლეიტენანტი ა. მღებრიშვილი, რომლის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომებზე მიიღებოდა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები.

ჩვენ ხელთ გვაქვს ერთ-ერთი საგანგებო შეხვედრის დროს შედგენილი დოკუმენტი, რომელსაც თავმჯდომარის რანგში ხელს აწერს სწორედ აბესალომი.

„Состоящій под почотным председательством Его Императорскаго Величевтва. Георгиевскіи комитетъ. Его Императорскаго высочества Великаго Князя Михаила Александровича.[15]

Особое Совещаніе Георгіиевскаго Комитета по воспитанію и устройству детей и сиротъ Георгіевскихъ кавалеровъ доводитъ до всеобшаго сведенія, что въ его распороженіи имеется весьма значительное количество свободныхъ вакансіи въ высшихъ, среднихъ, низшихъ и профессіональныхъ учебныхъ заведеніяхъ въ различныхъ городахъ и местностяхъ Россіи. Стипендіи эти могутъ быть предоставляемы лицам, награждённым орденомъ Св. Великомученика и Победоносца Георгія, Георгіевскимъ оружіемъ, Георгіиевским крестомъ или медалью, а также членамъ ихъ семей въ порядке, предусмотренномъ особыми на этотъ предметъ Наказами...

Подписалъ: председатель Особаго Совещанія, Генерал-Лейтенантъ Мгебровъ“ (Архив а; Архив б)

აბესალომ მღებრიშვილის მაღალ ავტორიტეზე მიუთითებს პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ოფიცრის ა. პესტოვის ჩანაწერებიც. ამ ინფორმაციის მიხედვით, 1914 წელს მომხდარი ერთ-ერთი ინციდენტის შემდეგ, როდესაც გერმანული კრეისერი „გოებენი“[16] უვნებელი გავიდა სევასტოპოლის აკვატორიაში რუსეთის იმპერიის მიერ დანაღმული ტერიტორიიდან, დაწყებულ გამოძიებას სათავეში უდგას პეტროგრადიდან[17] საგანგებოდ მოწვეული ა. მღებრიშვილი.

„Уже после того как „Гёбен“ ушёл от Севастополя, пол. Широгорский[18] начал звонить на минные станции и спрашивать, были ли звонки на станциях. К нашему ужасу и разочарованию мы узнали, что на первой минной станции, на мине №12 был электрический звонок еше до того, как батареи были разряжены. Это означало, что какая-то сила наклонила эту мину, она замкнулась и слабый ток прошёл по этому кабелю на станцию и раздался звонок на минной станции на мине №12.

[15] მიხაილ ალექსანდრეს ძე (1878-1918) - ალექსანდრე III-ის მეოთხე ვაჟი, ნიკოლოზ II-ის უმცროსი ძმა. რუსი სამხედრო ლიდერი, გენერალ-ლეიტენანტი (1916), გენერალ-ადიუტანტი. სახელმწიფო საბჭოს წევრი (1901-1917 წწ.).

[16] გერმანული კრეისერი, რომელსაც ეს სახელი დაარქვეს ავგუსტ კარლ ფონ გოებენის (პრუსიელი გენერალი, მეთაური და რკინის ჯვრის კავალერი) საპატივსაცემოდ. ექსპლუატაციაში შევიდა 1912 წლის ივლისში, ხოლო 1914 წლის აგვისტოში გადაეცა თურქეთის ფლოტს.

[17] პეტროგრადი - სანკტ-პეტერბურგი 1914-1924 წლებში.

[18] **შიროგორსკი ნიკოლაი ქსენოფონტის ძე** - სევასტოპოლის ნაღმოსანთა ასეულის მეთაური (1908 – 1916), ვიცე-პოლკოვნიკი.

Полковник Широгорский доложил об этом Бурхановскому[19], а тот адмиралу Эбергарду.[20] Началось расследование. Были назначены комиссии по флоту и по крепости. Из Петрограда Инжинерное ведомство прислало для расследования ген. – м. Мгеброва. Я помню, что я много и поздно работал над этим вопросом, чертя всякие графики“ (Пестов, 1973: 21).

ა. მღებრიშვილი მონაწილეობდა სამხედრო სამინისტროს მიერ თანხების განკარგვის საკითხებშიც. მაგ. მის მიერ ხელმოწერილ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „Отпустить военному министерству въ 1914 году 12000 руб. на выдачу пособій членамъ добровольнихъ автомобильныхъ и мотоциклетныхъ дружинъ за время несенія ими службы на маневрахъ и подвижныхъ сборахъ войскъ“ (Архив в).

აბესალომ მღებრიშვილისთვის განსაკუთრებით მძიმეც და წარმატებულიც აღმოჩნდა მე-20 საუკუნის ათიანი წლები. ბუნებრივია, შვილის, ახალგაზრდა ნიჭიერი ოფიცრის ტრაგიკული და გმირული დაღუპვის ტკივილი სამუდამო იარა გახლდათ, მეორეს მხრივ, შუა ხანს გადაცილებული გენერალი 1914 წელს დაინიშნა სამხედრო გენერალურ შტაბში საგანგებო დავალებათა შემსრულებლად.

„ცარსკოე სელოში“ მიღებულ გადაწყვეტილებაში ეწერა: „Назначаются: по инжинернымъ войскамъ: числ. по инжинер. в. , нач. отд. воен. сообш. гл. упр. ген. шт., ген.-м. Мгебровъ – ген. для поруч. при гл. воен. техн. упр.“ (Высочайшіе приказы по военному ведомству, 1914).

ამავე 1914 წლის აპრილში მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1915 წელს დაჯილდოვდა წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენით (Архив г: 73), ხოლო 1916 წელს თეთრი არწივის ორდენით (Архив д: 31).

მიუხედავად ასეთი თავბრუდამხვევი კარიერული წარმატებისა, ეს ის პერიოდი გახლავთ, როდესაც იმპერია თავისი არსებობის ბოლო დღეებს ითვლის. სულ მალე ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა სრულიად რადიკალურად შეცვალა სახელმწიფოს პოლიტიკური დღის წესრიგი.

აბესალომ მღებრიშვილის შესახებ ჩვენს მიერ მოძიებულ წყაროთა უმრავლესობა თავს იკავებს გარდაცვალების თარიღის მითითებისგან, ან ამბობს, რომ მხცოვანი გენერალი გარდაიცვალა 1916 წლის შემდეგ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1916 წლის შემდეგ ეს მალე არ მომხდარა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ 1917 წლის მოვლენების შემდეგ იგი კვლავ ფორმაშია და აგრძელებს საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

კერძოდ, ჩვენ მოვიძიეთ არაერთი დოკუმენტი, რომლებიც სააქციო საზოგადოება „გუსტავ ლისტთან“[21] ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს ეხება.

როგორც მკითხველს მოეხსენება, 1863 წლიდან რუსეთის ბაზარზე გამოდის გერმანელი მეწარმე გუსტავ ლისტის პირველი საწარმოები. მასობრივ წარმოებაში ეშვება ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა. კომპანიის ყველაზე პოპულარული პროდუქტი

---

[19] **ბურხანოვსკი ვლადიმერ ვასილის ძე (1775-1849)** - რუსეთის საიმპერატორო საზღვაო ძალების ოფიცერი, ვიცე-ადმირალ ფ. უშაკოვის ხმელთაშუა ზღვის კამპანიის და კორფუს ალყის მონაწილე. წმინდა გიორგის ორდენის კავალერი. ქერჩის ადმირალიის უფროსი, პოლკოვნიკი.

[20] **ანდრეი ავგუსტის ძე ებერგარდი (1856-1919)** - რუსეთის საზღვაო და სახელმწიფო მოღვაწე, ადმირალი (1913 წლის 14 აპრილი), შავი ზღვის საზღვაო ძალების მეთაური (1916 წლის ივნისამდე).

[21] **გუსტავ ივანის ძე ლისტი (1835-1913)** - გერმანული წარმოშობის მოსკოველი მეწარმე, შიდა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის წარმოების დამფუძნებელი. კომერციის მრჩეველი (1896). სახელმწიფო მრჩეველი (1911). პირველი გილდიის ვაჭარი. არჩეული იყო მოსკოვის ვაჭართა საზოგადოების წევრად.

გახლდათ მექანიკური სახანძრო დგუშის ტუმბო. ამ პერიოდში რუსეთში ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ნიშა ახალია, განვითარების ახალ სტადიაზე იმყოფება და ამიტომ, გაყიდვების არეალი და მასშტაბები დღითიდღე იზრდება.

თუ 1863 წელს ლისტის მიერ დაარსებულ საწარმოში სულ 13 ადამიანი იყო დასაქმებული, მალე იგი გადაკეთდა კაპიტალურ ქარხანად. 1870 წელს აიგო სამჭედლო, ორთქლის ძრავის დამამზადებელი საამქრო. მუშათა რაოდენობა ორ ასეულამდე გაიზარდა. 1897 წლისთვის კომპანია გადაკეთდა რკინის ჩამოსასხმელ, მექანიკური და საინჟინრო ქარხნების სააქციო საზოგადოებად. აშენდა იმ დროისთვის უახლესი მანქანათმშენებლობის ქარხანა. 1913 წლისთვის ლისტი უკვე ამ მიმართულების მონოპოლიას ფლობს.

1918 წელს ა. მღებრიშვილი იკავებს სამხედრო-ტექნიკური მთავარი სამმართველოს მექანიკური კომისიის თავმჯდომარის, ხოლო 1919-1920 წლებში სამხედრო-საინჟინრო მთავარი სამმართველოს საინჟინრო-საკონტრაქტო კომისიის თავმჯდომარის და განყოფილების უფროსის თანამდებობებს.

ხსენებული კომისიების საქმიანობის ერთ-ერთი კარდინალური ვექტორი სწორედ სააქციო საზოგადოება „გუსტავ ლისტთან“ ურთიერთობების დარეგულირებაზე გადის. ამ პერიოდის მიმოწერა ადასტურებს, რომ კომისია უმთავრესად მსჯელობს კომპანიის ნაციონალიზაციის საკითხებზე, არეგულირებს ფასებს ისეთ ახალ და მნიშვნელოვან პროდუქტზე, როგორიც გახლდათ ხანძარსაწინააღმდეგო დიაფრაგმული დგუში და ა.შ.[22]

1916 წლისთვის დასრულდა ახალი რკინაბეტონის შენობები ჭურვების წარმოების ასამოქმედებლად. ნაციონალიზაციის შემდეგ სხვადასხვა დროს ამ ქარხანას ეწოდებოდა „ქარხანა #5“, „ჰიდროფილტრი“, „წითელი ჩირაღდანი“. საწარმო განაგრძობდა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის წარმოებას, ხოლო მის ერთ-ერთ ორიგინალურ ხაზს წარმოადგენდა ფერადი ლითონების წარმოება.

გენერალ-ლეიტენანტ აბესალომ მღებრიშვილს ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი, მათ შორის ორი ვაჟი - ალექსანდრე მღებრიშვილი (1884-1966), მომავალი თეატრალური რეჟისორი და თეატრმცოდნე და ვლადიმერ მღებრიშვილი (1886-1915), სამხედრო ინჟინერ-კონსტრუქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

დოლიძე, ლ. (2003). *გენერლები საქართველოდან (საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატიანე).* თბილისი.

ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. (2017). აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის საერთო რედაქციით. თბილისი.

Mematiane.ge. ვებგვერდი: https://mematiane.ge/

Mematiane.ge. (თ.გ.). *აბესალომ მღებრიშვილი ივანეს ძე.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://mematiane.ge/product-details.php?id=1251

Авалов, З. (1906). *Присоединение Грузии к России.* Санкт-Петербург.

Архив а: Российский Государственный Военно-Исторический архив. Фонд №2048. штаб главнокомандуюшего армиями западного фронта, Опись №1, Управление генерал-квартермейстера штаба главнокомандуюшего армиями западного фронта, Дело №1329 ч.1, Приказания армиям западного фронта.

[22] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. შემდეგი საარქივო დოკუმენტები: (Архив е) და სხვ.

Архив б: Российский Государственный Военно-Исторический архив. Фонд: №2048. Опись: №1, Дело: №1385; Фонд: №2048, Опись: №1, Дело: №1386; Фонд: №2003, Опись: №1, Дело: №1691.

Архив в: Российский Государственный Военно-исторический архив. Фонд: №2003. Штаб верховного главнокомандуюшего, Опись: №2, Дело: №959.

Архив г: Российский Государственный Военно-исторический архив, Фонд: Печатные издания, Опись: Печатные издания, Дело: Высочайшие приказы/офицерские чины/за март месяц 1915 года. Док.: Его Императорское Величество, в присутствии своем в Царском селе, 22-го дня 1915 года, соизволил отдать следующий приказ, Автор: Его Императорское Величество, 1915-03-22.

Архив д: Российский Государственный Военно-исторический архив. Фонд: Печатные издания, Опись: Печатные издания, Дело: Высочайшие приказы Его Императорское Величества, Док.: Его Императорское Величество, в присутствии своем в Царской ставке, апреля 10-го дня 1916 года, соизволил отдать следующий приказ, Автор: Его Императорское Величество, 1916-04-10.

Архив е: Российский Государственный Военно-исторический архив. Фонд: #493, Опись: #11. Дело: #4, Док.: #37, 444, 298, 137, 535, 60, 358, 328, 245037, 101125

Высочайшіе приказы по военному ведомству. (1914). января 1-го дня, въ Царскомъ Селеъ, выс. прик. по в.в. къ №1212 (1218). „Разведчика".

Высшие чины Российской империи. (2017). (22.10.1721-2.03.1917). Биографический словарь. Т. II. Москва.

Гогитидзе, М. (2001). *Биографический справочник*. Киев. Получено из Georgia-888.livejournal.com/7919.html.

Гогитидзе, М. (2020). *Под сенью Российского орла*. Тбилиси.

Николаевское инжинерное училище. (б.д.)а. Получено из https://ria1914.info/index.php/Николаевское_инжинерное_училище

Николаевское инжинерное училище. (б.д.)б. Выпускники, 1868 г. Получено из http://rtgiment.ru

Офицеры русской императорской армии. (б.д.). http://ria1914.info

Отец и сыновья Мгебровы. (2014). Получено из https://www.yerkramas.org/article/81522/otec-i-synovya-mgebrovy

Пётр I. (1830). *Табел о рангах всех чинов, воинских, статских и придворных, которые в котором классе чины, и которые в одном классе, те имеют по старшинству времени вступления в чин между собою, однако ж воинские выше прочих, хотя б и старее кто в том классе пожалован был*. Полное собрание законов Российской империи, с 1649 года. Т. IV, 1720-1722, №3890. Санкт-Петербург: Типография II отделения Собственной Его Императорского Величества канцелярии.

Пестов, А. Н. (1973). „Гёбен" на русских минах 16 октября 1914 года. *Военная быль.* №124.

Правила ношения орденов. (1889). Полное собрание законов Российской империи. Собр. 3-е. Т. 9, №6445.

Русская императорская армия. (б.д.). *Мгебров Авессалом-Авель Иванович.* Получено из http://regiment.ru/bio/M/207.htm

Санкт-Петербургский государственный технологический институт. https://spbti.ru/

Шепелёв, Л. Е. (б.д.). *Титулы, мундиры, ордена в Российской Империи.* Получено из https://genrogge.ru/titul/16-2.htm#t14

Walkeru. (2010). *Мгебров Александр Авельевич.* Получено из https://spb-tombs-walkeru.narod.ru/srf/mgebrov.htm
http://www.grawar.ru/persons/persons.html?id=4144

REFERENCES:

dolidze, l. (2003). *generlebi sakartvelodan (sakartvelos generalit'et'is samsauk'unovani mat'iane) [Generals from Georgia (A Three-Century Chronicle of the Georgian Generality)]*. Tbilisi.

kartuli samkhedro entsik'lop'ediuri leksik'oni [Georgian Military Encyclopedic Dictionary]. (2017). Edited by Academician, Major General Elguja Medzmariashvili. Tbilisi.

Mematiane.ge. Web page: https://mematiane.ge/

Mematiane.ge. (n.d.). *abesalom mghebrishvili ivanes dze [Abesalom Mghebrishvili, Son of Ivane]*. Retrieved from https://mematiane.ge/product-details.php?id=1251

Avalov, Z. (1906). *Prisoedinenie Gruzii k Rossii [The Annexation of Georgia to Russia]*. St. Petersburg.

Arhiv a: Rossijskij Gosudarstvennyj Voenno-Istoricheskij arhiv. Fond №2048. shtab glavnokomandujushego armijami zapadnogo fronta, Opis' №1, Upravlenie general-kvartermejstera shtaba glavnokomandujushego armijami zapadnogo fronta, Delo №1329 ch.1, Prikazanija armijam zapadnogo fronta [Russian State Military Historical Archive. Collection No. 2048. Headquarters of the Commander-in-Chief of the Armies of the Western Front, Inventory No. 1, Office of the Quartermaster General of the Headquarters of the Commander-in-Chief of the Armies of the Western Front, File No. 1329, Part 1, Orders to the Armies of the Western Front].

Arhiv b: Rossijskij Gosudarstvennyj Voenno-Istoricheskij arhiv. Fond: №2048. Opis': №1, Delo: №1385; Fond: №2048, Opis': №1, Delo: №1386; Fond: №2003, Opis': №1, Delo: №1691 [Russian State Military Historical Archive. Collection No. 2048. Inventory No. 1, File No. 1385; Collection No. 2048, Inventory No. 1, File No. 1386; Collection No. 2003, Inventory No. 1, File No. 1691].

Arhiv v: Rossijskij Gosudarstvennyj Voenno-istoricheskij arhiv. Fond: №2003. Shtab verhovnogo glavnokomandujushego, Opis': №2, Delo: №959 [Russian State Military Historical Archive. Collection No. 2003. Headquarters of the Supreme Commander-in-Chief, Inventory No. 2, File No. 959].

Arhiv g: Rossijskij Gosudarstvennyj Voenno-istoricheskij arhiv, Fond: Pechatnye izdanija, Opis': Pechatnye izdanija, Delo: Vysochajshie prikazy/oficerskie chiny/za mart mesjac 1915 goda. Dok.: Ego Imperatorskoe Velichestvo, v prisutstvii svoem v Carskom sele, 22-go dnja 1915 goda, soizvolil otdat' sledujushhij prikaz, Avtor: Ego Imperatorskoe Velichestvo, 1915-03-22 [Russian State Military Historical Archive, Collection: Printed Publications, Inventory: Printed Publications, File: Imperial Orders/Officer Ranks/for March 1915. Doc.: His Imperial Majesty, in his presence at Tsarskoye Selo, on the 22nd day of 1915, deigned to issue the following order, Author: His Imperial Majesty, 1915-03-22].

Arhiv d: Rossijskij Gosudarstvennyj Voenno-istoricheskij arhiv. Fond: Pechatnye izdanija, Opis': Pechatnye izdanija, Delo: Vysochajshie prikazy Ego Imperatorskoe Velichestva, Dok.: Ego Imperatorskoe Velichestvo, v prisutstvii svoem v Carskoj stavke, aprelja 10-go dnja 1916 goda, soizvolil otdat' sledujushhij prikaz, Avtor: Ego Imperatorskoe Velichestvo, 1916-04-10 [Russian State Military-Historical Archive. Collection: Printed publications, Inventory: Printed publications, File: Highest orders of His Imperial Majesty, Doc.: His Imperial Majesty, in his presence at the Tsar's headquarters, on April 10, 1916, deigned to issue the following order, Author: His Imperial Majesty, 1916-04-10].

Arhiv e: Rossijskij Gosudarstvennyj Voenno-istoricheskij arhiv. Fond: #493, Opis': #11 Delo: #4, Dok.: #37, 444, 298, 137, 535, 60, 358, 328, 245037, 101125 [Russian State Military Historical

Archive. Collection: #493, Inventory: #11, Case: #4, Doc.: #37, 444, 298, 137, 535, 60, 358, 328, 245037, 101125].

Vysochajshie prikazy po voennomu vedomstvu [The Highest Orders of the Military Department]. (1914). janvarja 1-go dnja, v# Carskom# Sele#, vys. prik. po v.v. k# №1212 (1218). „Razvedchika“ [1st day of January, in Tsarskoye Selo, vys. adj. according to v.v. No. 1212 (1218). "Scout"].

Vysshie chiny Rossijskoj imperii [Highest Ranks of the Russian Empire]. (2017). (22.10.1721-2.03.1917). Biograficheskij slovar' [(October 22, 1721–March 2, 1917). Biographical Dictionary]. Vol. II. Moscow.

Gogitidze, M. (2001). *Biograficheskij spravochnik [Biographical Handbook].* Kyiv. Retrieved from Georgia-888.livejournal.com/7919.html.

Gogitidze, M. (2020). *Pod sen'ju Rossijskogo orla [Under the Shadow of the Russian Eagle].* Tbilisi.

Nikolaevskoe inzhinernoe uchilishhe [Nikolaev Engineering School]. (n.d.)a. Retrieved from https://ria1914.info/index.php/Nikolaevskoe_inzhinernoe_uchilishhe

Nikolaevskoe inzhinernoe uchilishhe [Nikolaev Engineering School]. (n.d.)b. Vypuskniki, 1868 g. [Graduates, 1868]. Retrieved from http://rtgiment.ru

Oficery russkoj imperatorskoj armii [Officers of the Russian Imperial Army]. (n.d.). http://ria1914.info

Otec i synov'ja Mgebrovy [Father and Sons Mgebrov]. (2014). Retrieved from https://www.yerkramas.org/article/81522/otec-i-synovya-mgebrovy

Pjotr I. (1830). *Tabel o rangah vseh chinov, voinskih, statskih i pridvornyh, kotorye v kotorom klasse chiny, i kotorye v odnom klasse, te imejut po starshinstvu vremeni vstuplenija v chin mezhdu soboju, odnako zh voinskie vyshe prochih, hotja b i staree kto v tom klasse pozhalovan byl [Table of grade of all ranks, military, civil, and courtiers. Those in each class of rank, and those in the same class, are ranked according to seniority of the time of accession to rank; however, military ranks are higher than others, even if the one in that class was granted them older].* Polnoe sobranie zakonov Rossijskoj imperii, s 1649 goda [Complete collection of Laws of the Russian Empire, since 1649]. Vol. IV, 1720-1722, №3890. Saint Petersburg: Printing House of the 2nd Section of His Imperial Majesty's Chancellery.

Pestov, A. N. (1973). „Gjoben“ na russkih minah 16 oktjabrja 1914 goda ["Goeben" on Russian mines on October 16, 1914]. *Voennaja byl' [Military History].* №124.

Pravila noshenija ordenov [Rules for Wearing Orders]. (1889). Polnoe sobranie zakonov Rossijskoj imperii [Complete Collection of Laws of the Russian Empire]. Coll. 3rd. Vol. 9, No. 6445.

Russkaja imperatorskaja armija [Russian Imperial Army]. (n.d.). *Mgebrov Avessalom-Avel' Ivanovich [Mgebrov Avessalom-Avel Ivanovich].* Retrieved from http://regiment.ru/bio/M/207.htm

Sankt-Peterburgskij gosudarstvennyj tehnologicheskij institut [Saint Petersburg State Technological Institute]. https://spbti.ru/

Shepeljov, L. E. (n.d.). *Tituly, mundiry, ordena v Rossijskoj Imperii [Titles, Uniforms, Orders in the Russian Empire].* Retrieved from https://genrogge.ru/titul/16-2.htm#t14

Walkeru. (2010). *Mgebrov Aleksandr Avel'evich [Mgebrov Alexander Avelevich].* Retrieved from https://spb-tombs-walkeru.narod.ru/srf/mgebrov.htm
http://www.grawar.ru/persons/persons.html?id=4144